

შპს მალა ს/კ 404522174
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც
დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

ფინანსური ანგარიშგება

შპს მალა

საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

შინაარსი:

- | | |
|---|------|
| 1. ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ | გვ.2 |
| 2. საქმიანობის შედეგების ანგარიშგება | გვ.3 |
| 3. ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება | გვ.4 |
| 4. კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება | გვ.5 |
| 5. ახსნა-განმარტებები და შენიშვნები | გვ.6 |

შპს მალა ს/კ 404522174
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც
დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბრის

შპს "მალა" ს/კ 404522174

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
დასრულებული 2024 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
უძრავი ქონება და ძირითადი საშუალებები	2 557 198	1 551 327.08	1 533 350
არამატერიალური აქტივები	112 592	195 326.47	146 140
სულ გრძელვადიანი აქტივები	2 669 791	1 746 654	1 679 491
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	63 084	81 625	320 037
სავაჭრო მოთხოვნები	193 166	118 988	92 934
სასაქონლო მატერიალური მარაგები	154 322	154 423	149 556
საგადასახადო აქტივი	18 370	25 976	38 598
სხვა მიმდინარე აქტივები	96 480	142 645	226 838
სულ მიმდინარე აქტივები	525 422	523 657	827 962
სულ აქტივები	3 195 213	2 270 310	2 507 453
ვალდებულებები			
მიმდინარე ვალდებულებები	289 264	122 259	217 547
საბანკო სესხის მიმდინარე გრძელვადიანი ვალდებულება	504 709	532 029	751 236
საბანკო სესხის მიმდინარე მოკლევადიანი ვალდებულება	193 886	160 646	122 523
სხვა მოკლევადიანი სასესხო ვალდებულება	30 000		200 433
საგადასახადო ვალდებულება	152 309	73 274	75 035
სულ ვალდებულებები	1 170 169	888 207	1 366 774
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება	2 070 674	1 180 057	766 262
საეჭვო დებიტორული დავალიანების რეზერვი	(45 912)	(17 236)	(4 515)
კაპიტალში პარტნიორთა შენატანები	282	219 282	378 932
სულ კაპიტალი	2 025 044	1 382 103	1 140 679
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	3 195 213	2 270 310	2 507 453

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა 17.09.2025 წელს.

დირექტორი: მ. ჩოხელი



შპს მალა ს/კ 404522174
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც
დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

შპს "მალა" ს/კ 404522174
სრული შემოსავლების და ხარჯების ანგარიშგება
2024 წლის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

	2024	2023
შემოსავალი		
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	4 139 537	2 759 586
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	633 235	295 524
სხვა შემოსავალი		1 537
	4 772 773	3 056 647
თვითღირებულება		
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	2 953 325	2 121 874
რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება	620 412	266 363
სხვა შემოსავალის თვითღირებულება		1 320
	3 573 737	2 389 557
საერთო მოგება		
საქონლის რეალიზაციიდან	1 186 212	637 711
მომსახურების მიწოდებიდან	12 823	29 161
სხვა საოპერაციოდან	-	217
	1 199 035	667 090
ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები	(194 028)	(142 503)
საოპერაციო მოგება	1 005 008	524 587
სხვა სრული შემოსავალი და ხარჯები	(9 899)	(32 056)
ფინანსური ხარჯი	(67 650)	(80 931)
დასაბეგრი მოგება	927 459	411 600

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა 17. 09 .2025 წელს.

დირექტორი: მ. ჩოხელი



შპს მალა ს/კ 404522174
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც
დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

შპს "მალა" ს/კ 404522174

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება
(ქართულ ლარში)

ფ/წ საოპერაციო საქმიანობიდან 31.12.2024 31.12.2023
1 775 635 730 091

შემოსავალი	5 423 340	3 589 359.00
მომწოდებლებზე გადახდილი	(2 191 731)	(1 834 079.87)
გადახდილი ხელოვნებები	(810 020)	(557 060.69)
გადახდილი გადასახადები	(642 330)	(424 765.00)
საპენსიო შენატანები		(41 850.00)
ბანკის საკომისიო	(3 624)	(1 512.30)

ფ/წ საინვესტიციო საქმიანობიდან (1 686 052) (530 872.00)

მ/ს და არამატერიალური აქტივების შეძენა	(1 487 052)	(371 222.00)
პარტნიორის მიერ კაპიტალის დაფინანსება		(159 650.00)
პარტნიორის მიერ კაპიტალის შემცირება	(219 000)	
ძირითადი საშუალების რეალიზაცია	20 000	

ფ/წ საფინანსო საქმიანობიდან (108 123) (437 631.29)

გაცემული სესხი	(14 000)	
მიღებული სესხი	215 000	
პარტნიორებიდან და დაკავშირებული მხარედან მიღებული სესხი		52 100.00
სესხის დაბრუნება	(35 000)	(201 167.41)
თი ბი სი ბანკის სესხი	(169 445)	(175 081.72)
გადახდილი პროცენტები	(66 780)	(85 797.65)
გადახდილი დივიდენდები	(35 000)	(10 000.00)
საკურსო სხვაობა	(2 898)	(17 684.51)

სულ წმინდა ფ/წ (18 541) (238 412.15)

საწყისი ფ/წ	81 625	320 037
საბოლოო ფ/წ	63 084	81 625

ფ/წ ზრდა (18 541) (238 412)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა 17. 09 .2025 წელს

დირექტორი: მ. ჩოხელი



შპს მალა ს/კ 404522174
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც
დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს


შპს "მალა" ს/კ 404522174

კაპიტალის ცვლილების
ანგარიშგება
დასრულებული 2024 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

	კაპიტალში პარტნიორთა შენატანი	გაუნაწილებელი მოგება	სხვა რეზერვები	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2022 წ. 31 დეკემბრისათვის	<u>378 932</u>	<u>766 262</u>	<u>(4 515)</u>	<u>1 140 679</u>
სულ 2023 წ. შემოსავალი		424 321		424 321
გაცემული დივიდენდი		(10 526)		(10 526)
კაპიტალში პარტნიორთა შენატანი	(159 650)			(159 650)
სხვა რეზერვები			(12 721)	(12 721)
ნაშთი 2023 წ. 31 დეკემბრისათვის	<u>219 282</u>	<u>1 180 057</u>	<u>(17 236)</u>	<u>1 382 103</u>
სულ 2024 წ. შემოსავალი		927 459		927 459
გაცემული დივიდენდი		(36 842)		(36 842)
კაპიტალში პარტნიორთა შენატანი	(219 000)			(219 000)
სხვა რეზერვები			(28 676)	(28 676)
ნაშთი 2024 წ. 31 დეკემბრისათვის	<u>282</u>	<u>2 070 674</u>	<u>(45 912)</u>	<u>2 025 044</u>

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა 17. 09. 2025 წელს.

დირექტორი: მ. ჩოხელი



ფინანსური ანგარიშგების თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება მალა შემდგომში (კომპანია) რეგისტრირებულია 2016 წლის 28 ოქტომბერს კანონმდებლობის შესაბამისად, საიდენტიფიკაციო ნომრით 404522174. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ღორღიანი და ქვიშოვანი კარიერების დამუშავება. ფაქტიური მისამართია დუშეთის რ-ნი სოფ.ციცყარო

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის პარტნიორი არის:

- მამუკა ჩოხელი (01010007966) -50%;
- კობა გაფრინდაშვილი (01022002816 – 50% წილი 2021 წ. 6 იანვარს შეიცვალა ლაშა გაფრინდაშვილით (01001071766) -50%.

საქმიანობა: ღორღიანი და ქვიშოვანი კარიერების დამუშავება.

მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოხდა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასს) მიერ დადგენილი და გამოქვეყნებული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგებები მომზადდა პირვანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით, თანხები წარმოდგენილია ქართულ ლარში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მეწილეებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანია და შესაბამისად აფასებენ, რომ კომპანიას როგორც ფუნქციონირებად საწარმოს აქვს საქმიანობის გაგრძელების უნარი.

კომპანიის საანგარიშო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 01 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფუნქციონირებადი ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, კონვერტირებადი ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანსაქციის განხორციელების დღისათვის, ამასთანავე საანგარიშო წლის ბოლო თარიღით ხდება მათი გადაფასება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. კონვერტაციის შედეგად წარმოშობილი კურსთა შორის სხვაობა აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებზე, მოგებად ან ზარალად.

2022, 2023 და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	USD	EUR
კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის	2.702	2.8844
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისათვის	2.6894	2.9753
კურსი 2024 წლის 31 დეკემბრისათვის	2,8068	2.9306

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება.

კომპანია ძირითად საშუალების თავდაპირველი აღიარებისას აფასებს თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან დაკავშირებულ ყველა პირდაპირ ხარჯს. თავდაპირველი აღიარების შემდგომი შეფასება ხდება თვითღირებულების მოდელით.

ძირითადი საშუალებების შემენის შემდგომი დანახარჯები ემატება ამ აქტივის ღირებულებას ან აღიარდება ცალკე აქტივად, თუ მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს.

თავდაპირველი შეფასება ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულების პირველადი შეფასება ხდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით), ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

აღიარების შემდგომი შეფასება ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს სავალო ინსტრუმენტები ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან რომელთა რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება სხვაგვარად არის შესაძლებელი მიზანშეუწონელი დახარჯების, ან ძალისხმევის გარეშე. ფასდება თვითღირებულების გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალების რეზერვების გამოყენებით შემცირებით.

აქტივების თვითღირებულება გაიანგარიშება აქტივების შეძენის ან შექმნის დროს გადახდილი ფულის ან ფულის ექვივალენტების ან სხვა სახის საზღაურის რეალურ ღირებულების თანხით.

რეალური ღირებულება ფასდება თანხით, რომლითაც შეიძლება აქტივი გაიცვალოს ან ვალდებულება დაიფაროს საქმის მცოდნე და გარიგების მსურველ მხარეებს შორის „გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით“.

ამორტიზებული ღირებულება - თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი აღიარებული იყო თავდაპირველი აღიარებისას ძირითადი თანხის დასაფარად გადახდილი თანხების გამოკლებით ,

მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ. საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი არ არის წარდგენილი ცალ-ცალკე და შედის შესაბამისი საბალანსო მუხლის მიმდინარე ღირებულებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი - განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

საწარმო ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით.

ფინანსური აქტივების გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება მოიცავს ისეთ მონაცემებს, რომლებიც აქტივის მფლობელისთვის გახდება ცნობილი გაუფასურების გამომწვევი შემდეგი მოვლენების შესახებ:

ხელშეკრულების პირობების დარღვევა, გადაუხდელობა, ან ვადაგადაცილება არ შეიძლება დაკავშირებული იყოს ანგარიშსწორების სისტემებით გამოწვეულ დაგვიანებასთან.

მხარეს გააჩნია მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები, რაც დასტურდება კომპანიის მიერ მოპოვებული ფინანსური ინფორმაციით;

როდესაც მოსალოდნელია, რომ დებიტორთან დაკავშირებით დაიწყება გაკოტრების, ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის პროცესი;

კომპანია დებიტორის ფინანსურ სიძნელეებთან დაკავშირებული ეკონომიკური ან იურიდიული მიზეზების გამო, დებიტორს სთავაზობს ისეთ დათმობებს, რომლებსაც სხვა შემთხვევაში არ შესთავაზებდა;

ობიექტური ნიშნების არსებობა, რომლებიც იმაზე მიუთითებს, რომ შემცირდა ფინანსური აქტივების ჯგუფთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადები მათი საწყისი აღიარების შემდეგ, თუმცა ამგვარი შემცირების ოდენობის განსაზღვრა ჯგუფში შემავალი ცალკეული ფინანსური აქტივისთვის ჯერჯერობით შეუძლებელია.

გაუფასურების კუთხით ერთობლივი წესით შეფასებული ფინანსური აქტივების სამომავლო ფულადი ნაკადები განსაზღვრულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე აქტივებზე მიღებული ზარალის ისტორიული მონაცემების საფუძველზე. ზარალის ისტორიული მონაცემების კორექტირება ხდება არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, რათა ასახულ იქნას მიმდინარე არსებული პირობების გავლენა, რომელთაც მანამდე გავლენა არ მოუხდენიათ ზარალის ისტორიულ მონაცემებზე, და ასევე არ იქნას გათვალისწინებული გამოცდილების საფუძველზე დადგენილი ის გარემოებები, რომლებიც ამჟამად აღარ არსებობს. სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასების მეთოდოლოგიის და დაშვებების შესწორება ხდება რეგულარულად, მოსალოდნელ და ფაქტობრივ ზარალს შორის სხვაობის შემცირების მიზნით.

გაუფასურების ზარალი ყოველთვის აღიარდება რეზერვის ანგარიშის მეშვეობით, აქტივის საბალანსო ღირებულების შემცირების მიზნით.

გაუფასურების შემდგომ პერიოდში ადგილი ექნება აქტივის გაუფასურების ზარალის თანხის შემცირებას რაც დაკავშირებული იქნება გაუფასურების აღიარების შემდგომ წარმოშობილ მოვლენასთან, საწარმო აღადგენს წინა პერიოდებში წარმოშობილი გაუფასურების ზარალს რეზერვის ანგარიშის კორექტირებით.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც:

ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია;

კომპანია გადასცემს ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს; ან

მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის უფლებას, რომელსაც გააჩნია ამ აქტივის

მთლიანად გაყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა ნებისმიერ არადაკავშირებულ მესამე მხარეზე, შეუძლია ამ შესაძლებლობის გამოყენება ცალმხრივად და აქტივის გადაცემაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების აუცილებლობის გარეშე

არსებითად არც გადასცემს და არც იტოვებს ყველა რისკს და გადასცემს საკუთრებას, მაგრამ არა შენარჩუნებულ კონტროლს.

კონტროლი შენარჩუნებულია, თუ კონტრაგენს არ აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა, მიჰყიდოს აქტივი დამოუკიდებელ მესამე მხარეს ამგვარ გაყიდვის ოპერაციაზე დამატებითი შეზღუდვების არსებობის გამო.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსურ ვალდებულების აღიარებას, როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება იფარება, უქმდება ან ვადა გასდის.

კომპანია დაფარულ ან სხვა მხარისათვის გადაცემულ ფინანსურ ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ კომპენსაციის თანხას შორის (ნებისმიერი გადაცემული არაფულადი აქტივებისა და აღებული ვალდებულებების ჩათვლით) სხვაობას ასახავს მოგება-ზარალში,

გადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადარჩადილი და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

ფული და ფულის ექვივალენტი

ფული და ფულადი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის კომპანიის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში საქონლის მიწოდების და მომსახურების გაწევის შედეგად მყიდველებისაგან მისაღები თანხები. აღირიცხება ნომინალური ღირებულებით, ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ნეტო (მოსალოდნელი ანაზღაურების) თანხით.

მოთხოვნების წმინდა ღირებულებით ასახვისათვის ტარდება მოთხოვნების ანალიზი მათი წარმოშობის ვადების მიხედვით და ერიცხება საექვო ვალების რეზერვი.

მოვალეობის უმრავლესობაზე ფინანსური მდგომარეობის შესახებ საიმედო ინფორმაციის არსებობისა და კომპანიის წარული გამოცდილების გათვალისწინებით, სავარაუდო საიმედოდ შეფასება.

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებებისათვის კომპანია იყენებს ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდს, რაც გულისხმობს აქტივის თვითღირებულების ან გაუფასურებული ღირებულების განაწილებას აქტივის სასარგებლო მომსახურების მთელი ვადის მანძილზე.

ძირითადი საშუალებების ცვეთის თანხა ნაწილდება სისტემატურ საფუძველზე, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობა-ნაგებობები	25-50
მანქანა დანადგარები	8-10
სატრანსპორტო საშუალებები	8-10
ოფისის აღჭურვილობა	3-8
ავეჯი და სხვა ინვენტარი	3-8
არამატერიალური აქტივები	3-10

ყოველი პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს გაუფასურების ინდიკატორს, რათა უზრუნველყოს, რომ აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახოს ანაზღაურებად ღირებულებაზე მეტი თანხა. ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება აქტივის, ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი თანხით.

საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება მეტია მის შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებასზე. გაუფასურების ზარალი აღიარდება შესაბამის პერიოდის სრული შემოსავლების ანგარიშგებაში.

კომპენსაცია, რომელიც საწარმოს მისაღები აქვს მესამე მხარეებისაგან, დაზიანების, დაკარგვის ან გაცემის შემთხვევაში, მოგება/ზარალში ამ მოთხოვნის წარმოშობის პერიოდში.

ძირითადი საშუალებების აღიარების შეწყვეტა ხდება აქტივის გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც მისი გამოყენებიდან ან გაყიდვიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. აღიარების შეწყვეტის შედეგად შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად წარმოქმნილ წმინდა შემოსულობასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობით. შედეგი აღიარდება იმ პერიოდის მოგება/ზარალში, რომელშიც ადგილი ქონდა აღიარების შეწყვეტას.

შემენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაციის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის თვითღირებულების ან ანაზღაურებად ღირებულების განაწილებას აქტივის მთელი მომსახურების ვადის მანძილზე.

არამატერიალური აქტივის აღიარებ ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც: ა) მაღალია იმის ალბათობა, რომ საწარმო მიიღებს აქტივიდან მოსალოდნელ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს; და ბ) შესაძლებელია აქტივის თვითღირებულების საიმედოდ შეფასება.

არამატერიალური აქტივის საწყისი შეფასება ხდება თვითღირებულებით.

არამატერიალური აქტივის აღიარებისას საწარმომ უნდა გაითვალისწინოს აღწერილი აღიარების კრიტერიუმები;

საწარმომ არამატერიალური აქტივი უნდა აღიაროს მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც:

- (ა) მოსალოდნელია აქტივზე მიკუთვნებადი მომავალი ეკონომიკური სარგებლის საწარმოში შემოსვლა;
- (ბ) შესაძლებელია აქტივის თვითღირებულების ან ღირებულების საიმედოდ შეფასება; და
- (გ) აქტივი შექმნილი არ არის რომელიმე არამატერიალურ ერთეულზე საწარმოს ფარგლებში გაწეული დანახარჯების შედეგად.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო მატერიალური ფასეულობების აღრიცხვას კომპანია ახდენს უწყვეტი აღრიცხვის მეთოდით.

საწარმო მარაგებს აფასებს თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს შემენასა და მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად გაწეულ ყველა დანახარჯს.

მარაგების ჩამოწერა ხდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

დაბეგვრა

კომპანიის მიმდინარე საგადასახადო დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია მის ძირითად საქმიანობასთან, გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიას მთის საწარმოს სტატუსი ათავისუფლებდა მოგების და ქონების გადასახადისგან, რომლით სარგებლობის უფლება დაკარგა 2021 წ. სექტემბრის თვიდან, როდესაც შეიძინა წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია.

მოგების გადასახადი

მიმდინარე მოგების გადასახადი გამოითვლება საანგარიშგებო თარიღისთვის მოქმედი იმ ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს.

ახალი, ე.წ. "ესტონური", მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან), სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით (მანამდე არსებული მოდელის მიხედვით, კომპანიის მოგება 15%-იანი გადასახადით იბეგრებოდა იმის მიუხედავად, ხდებოდა თუ არა წმინდა მოგების დივიდენდის სახით განაწილება).

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების მუხლში ერთიანდება მომწოდებლებისათვის გადასახდელი თანხები წარმოშობილი მომსახურების გაწევის ან საქონლის მოწოდების შედეგად. თუ სავაჭრო ვალდებულების დაფარვა მოსალოდნელია ერთ საანგარიშგებო პერიოდში ან უფრო ნაკლებში, ის კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი ვალდებულება, წინააღმდეგ შემთხვევაში წარდება გრძელვადიან ვალდებულებებში. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში არსებული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება ეროვნულ ვალუტაში (ლარში) საანგარიშგებო პერიოდის ბოლო დღისთვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა/ხარჯი აისახება არასაოპერაციო შემოსავალში ან არასაოპერაციო ხარჯებში შესაბამისად.

საკუთარი კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა კომპანიის წესდებით განისაზღვრება. კომპანიის წესდებაში ცვლილებების შეტანა (მათ შორის საწესდებო კაპიტალის, საკუთრების უფლების ცვლილება), მხოლოდ კომპანიის მესაკუთრის გადაწყვეტილებით ხდება.

საკუთარი კაპიტალი მოიცავს საწარმოს მესაკუთრეების მიერ განხორციელებულ ინვესტიციას, ამ ინვესტიციების მატებას, რომელიც მიღებულ იქნა კომპანიის მომგებიანი საქმიანობებიდან და საწარმოში რჩება თავის საოპერაციო საქმიანობაში გამოყენების მიზნით და მესაკუთრეთა ინვესტიციის შემცირებას, რაც განაპირობა არამომგებიანმა ოპერაციებმა და მესაკუთრეებზე განხორციელებულმა განაწილებებმა.

ამონაგები

საქონლის და მზა პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული ამონაგების აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებს და სარგებელს, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინსაწარ შეთანხმებულ სარგებელს. საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა პირობა:

საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

საწარმო არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;

შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება;

მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს; და

შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებით უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

თუ კომპანია ინარჩუნებს საკუთრებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, ოპერაცია არ მიიჩნევა გაყიდვად და, შესაბამისად, არ ხდება ამონაგების აღიარება.

მომსახურების გაწვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როცა მომსახურების მიწოდების შედეგების საიმედოდ შეფასება არის შესაძლებელი, კერძოდ თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

ამონაგების თანხის განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ;

მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში;

შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ დადგენა, საანგარიშო პერიოდის ბოლოს;

შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესრულებისათვის საჭირო დანახარჯების საიმედოდ შეფასება

თუ მომსახურების გაწევა ხდება განუსაზღვრელი რაოდენობის მრავალჯერადი აქტის შედეგად გარკვეული პერიოდის განმავლობაში, საწარმო ამონაგებს აღიარებს თანაბარზომიერად (წრფივი მეთოდით), ამონაგების თანხა განისაზღვრება მიღებული საქონლისა და მომსახურების რეალური ღირებულების მიხედვით. კორექტირება ხდება გადაცემული ფულის ან ფულადი სახსრების ექვივალენტის თანხით. თუ შეუძლებელია მიღებული საქონლის და მომსახურების რეალური ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა, ამონაგების თანხის ფასდება გაცემული საქონლის ან მომსახურების რეალური ღირებულებით, რომელიც შემდგომ კორექტირდება მიღებული ფულის ან ფულადის სახსრების ექვივალენტების თანხის მიხედვით.

სხვა შემოსულობა

სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისთვის.

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელთაგან არ არის დაკავშირებული მის ძირითად საქმიანობასთან მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ მოსალოდნელია, რომ ეკონომიკური სარგებელი წარმოიქმნება რამდენიმე საღარიბო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის ღირებულების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

იჯარა

კომპანია ახდენს იჯარის კლასიფიკაციას ფინანსური და საოპერაციო იჯარად.

ფინანსური იჯარის დროს უფლებები აქტივის გამოყენებაზე და ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე აღიარდება როგორც აქტივები და ვალდებულებები საიჯარო აქტივის რეალური ღირებულებასა და გაანგარიშებულ მინიმალური საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

მინიმალური საიჯარო გადასახდელების განაწილება პირობით საიჯარო გადასახდელებად და დაუფარავ ვალდებულებად ხდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. პირობითი საიჯარო გადასახდელები ხარჯად აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც გაწეული იყო. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით.

საოპერაციო იჯარის დროს საიჯარო გადასახდელები ხარჯად აღიარდება წრფივი მეთოდით, იჯარის ვადის განმავლობაში. იჯარის ხარჯის უმეტესი ნაწილი მონაწილეობას იღებს მარაგების თვითღირებულების ფორმირებაში.

თანამშრომელთა ხარჯები და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასი, ბონუსები, დარიცხულია წლის განმავლობაში, მაშინ როდესაც თანამშრომლებმა გაუწიეს მომსახურება კომპანიას, ხოლო ანაზღაურებადი შვებულებები, მათი ფაქტიური სარგებლობის დროს.

ვინაიდან საწარმოს საღარიბო პოლიტიკით მიმდინარე წლის გამოუყენებელი შვებულება არ ანაზღაურდება მომავალ პერიოდებში, არ წარმოიქმნება გამოუყენებელი შვებულების რეზერვი.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა დანახარჯები აღიარდება მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ პერიოდში, როდესაც გაწეულ იქნა აღნიშნული დანახარჯი.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

შპს მაღა ს/კ 404522174
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც
დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

ძირითადი საშუალებები

აღწერა	მიწა	შენიშნა- ნაგებობები	საწარმოო მანქანა- დანადგარები	საწარმოო მცირეფასიანი ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა	ჯამი
ისტორიული ღირებულება							
2022 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით	165 865.00	256 483	666 323	25 214	1 124 913	17 516	2 256 314
ცვეთა							
2022 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	24 401	356 334	6 140	323 279	12 810	722 963
საბალანსო წარჩენი ღირებულება							
2022 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით	165 865.00	232 082.33	309 989.43	19 073.92	801 633.50	4 706.17	1 533 350
ისტორიული ღირებულება							
2023 წ. 01 იანვრის მდგომარეობით	165 865.00	256 483.13	666 323.38	25 213.67	1 124 912.83	17 515.68	2 256 314
შეძენა-კაპიტალიზაცია			175 367		136 524	2 705	314 595
გასვლა-რეალიზაცია					149 365		149 365
2023 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით	165 865.00	256 483	841 690	25 214	1 112 072	20 221	2 421 544
ცვეთა							
2023 წ. 01 იანვრის მდგომარეობით	-	24 400.80	356 333.95	6 139.75	323 279.33	12 809.51	722 963
ჭერი-ოფისის ცვეთა	-	4 880	96 387	389	138 020	2 149	241 824
გასვლა-რეალიზაცია					94 570		94 570
2023 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	29 281	452 721	6 529	366 729	14 958	870 217
ისტორიული ღირებულება							
2024 წ. 01 იანვრის მდგომარეობით	165 865.00	256 483.13	841 689.91	25 213.67	1 112 071.76	20 220.53	2 421 544
შეძენა-კაპიტალიზაცია	161 000.00	492 263	196 356	4 788	382 178	15 551	1 252 136
გასვლა-რეალიზაცია	(20 062.00)						(20 062)
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა			(37 908)	(12 278)		(4 660)	(54 846)
2024 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით	306 803.00	748 746.27	1 000 137.94	17 723.73	1 494 250.13	31 110.95	3 598 772
ცვეთა							
2024 წ. 01 იანვრის მდგომარეობით	-	(29 280.96)	(452 720.70)	(6 528.52)	(366 728.60)	(14 958.14)	(870 217)
ჭერი-ოფისის ცვეთა	-	(4 880)	(89 114)	(389)	(132 283)	(3 326)	(229 991)
გაყიდული ძირითადი საშუალებების ცვეთა							-
ჩამოწერილი ძირითადი საშუალებების ცვეთა			51 665	2 310		4 661	58 635
2024 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	(34 161)	(490 170)	(4 608)	(499 011)	(13 624)	(1 041 574)
საბალანსო წარჩენი ღირებულება							
2022 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით	165 865.00	232 082.33	309 989.43	19 073.92	801 633.50	4 706.17	1 533 350
2023 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით	165 865.00	227 202.17	388 969.21	18 685.15	745 343.16	5 262.39	1 551 327
2024 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით	306 803.00	714 585.15	509 968.06	13 115.94	995 238.96	17 487.37	2 557 198

არამატერიალური აქტივები

კომპანია ფლობს ბუნებრივი რესურსების მოპოვების ლიცენზიებს, თითოეულ ლიცენზიას ცვეთა
ერიცხება მოპოვებული მოცულობის პროპორციულად, იგი შედის მოპოვებული ზალასტის
თვითირებულებაში.

შანარსი	ისტორიული ღირებულება	მოცულობა	2022 წ. მოპოვება	2022 წ. ცვეთა	2022 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობი თ საბალანსო ღირებულება	2023 წ. მოპოვება	2022 წ. ცვეთა	2023 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობი თ საბალანსო ღირებულება
ლიცენზია 1	132 469.50	179 335.00	(50 805.00)	(37 532.42)	94 937.08	(58 820.00)	(43 443.75)	51 493.33
ლიცენზია 2	131 693.64	103 599.00	(63 319.00)	(80 490.26)	51 203.38	(36 602.00)	(46 527.96)	4 675.42
ლიცენზია 3	114 791.60	103 770.00				(45 153.00)	(49 948.78)	64 842.82
ლიცენზია 4	74 314.90	67 559.00						74 314.90
ჯამი	453 269.64	454 263.00	(114 124.00)	(118 022.68)	146 140.46	(140 575.00)	(139 920.49)	195 326.47

შპს მაღა ს/კ 404522174
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც
დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

წელი 2024	ისტორიული ლირებულა	მოცულობა	2024 წლის I კვარტლის მდგომარეობა ბათ მოპოვებული რავდენობა	2024 წლის I კვარტლის მდგომარეობა თ დაგროვილი გვეთა	ხაზაღანო ლირებულა 2024 წლის I კვარტლის მდგომარეობა თ	შეძენა	2024 წ. მოპოვება	2022 წ. გვეთა	2024 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით ხაზაღანო ლირებულა
ლოცენზია 1	132 470	179 335	(109 625)	(80 976)	51 493		(60 572)	(44 738)	6 756
ლოცენზია 2	131 694	103 599	(99 921)	(127 018)	4 675		(3 678)	(4 675)	-
ლოცენზია 3	114 792	103 770	(45 153)	(49 949)	64 843		(50 743)	(56 133)	8 710
ლოცენზია 4	74 315	67 559	-	-	74 315		(56 304)	(61 934)	12 381
ლოცენზია 5	127 119	6 000	-	-	-	127 119	(2 000)	(42 373)	84 746
ჯამი	580 388	460 263	(254 699)	(257 943)	195 326	127 119	(173 297)	(209 853)	112 592

ფული და ფულის ექვივალენტები

	2024	2023	2022
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტის ანგარიშზე	58 142	66 550	10 139
ფული ბანკში უცხოური ვალუტის ანგარიშზე	64	-	297 490
ფული საღარიბოში	4 878	15 074	12 408
	63 084	81 625	320 037

გაცემული სესხი

ფიზიკურ პირზე გაცემული სესხი

2024	2023	2022
14 000	-	-

სავაჭრო მოთხოვნები

	2024	2023	2022
სავაჭრო მოთხოვნები	239 078	136 224	97 449
საექვო დებიტორული დავალიანება	(45 912)	(17 236)	(4 515)
	193 166	118 988	92 934

გადახდილი ავანსები

	2024	2023	2022
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	82 480	142 645	225 673
წინსწრებით გაცემული ხელფასები			
სხვა ავანსები			1 165

82 480 **142 645** **226 838**

სასაქონლო მატერიალური მარაგები

	2024	2023	2022
ნედლეული და მასალები	122 994	11 801	16 781
საექსპლუატაციო მასალები		65 032	71 479
დაუმთავრებელი წარმოება	10 285	6 988	17 150
მზა პროდუქცია	20 926	13 099	21 555
სხვა მარაგები (ჩამოწერილი ჯავშნის სხმული)	51	1 195	
საკუთარი მშენებლობისთვის შეძენილი სამშენებლო მასალები		56 309	22 550
გასაყიდი საქონელი	66		41

154 322 **154 423** **149 556**

შპს მაღა ს/კ 404522174
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც
დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

საგადასახადო ვალდებულებათა აქტივები 31.12.2024	2024 წელი		2023 წელი		2022 წელი	
	საგადასახადო	საგადასახადო	საგადასახადო	საგადასახადო	საგადასახადო	საგადასახადო
	ო	ო აქტივი	ო	ო აქტივი	ო	ო აქტივი
გადახდილი ავანსის მიღებული დღგ-ს ჩიო	6 953	1 876.29	19 963		31 787.85	
საგადასახადო ბარათის ნაშთი	10 932		2 376		17 128.54	
საშემოსავლო გადასახადი	768		87		76	
კორექტირების დღგ	70		70		70	
ბუნებრივი რესურსების მოსაკრებელი	63 774	853.28	16 344	7 996	10 957	
ქონების გადასახადის ვალდებულება			13 895		15 016	
დეკემბრის თვის დღგ-ს დეკლარაციის შედეგი, რომელიც						20 342
საგადასახადო ბარათზე აისახა 15 01.2025	49 889		20 539			12 141
ქონების გადასახადის საფასური	19 923	15 640.29		12 566		6 114.85
მიღებული ავანსების გადახდილი დღგ				5 414		
	152 309	18 369.86	73 274	25 976	75 035.28	38 597.85

მიღებული სესხები	2024	2023	2022
პარტნიორიდან მიღებული სესხები			149 067
პარტნიორის სესხის საპროცენტო ვალდებულება			7 703
იურიდიული პირისაგან მიღებული მოკლევადიანი სესხი	30 000		35 959
საპროცენტო ვალდებულება			7 703
	30 000.00	=	200 433

მიმდინარე ვალდებულებები	2024	2023	2022
სავაჭრო ვალდებულებები	263 381	79 207	191 393
მიღებული ავანსები	18 322	35 732	
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	4 489	6 976	25 950
სახელმწიფო ვალდებულება	3 072	344	204
	289 264	122 259	217 547

ბანკის სესხები	საპროცენტო ვალდებულებები 31.12.2023	სესხის გრძელვადიანი ნაწილი	სესხის მიმდინარე ნაწილი	სესხის გრძელვადიანი ნაწილი	სესხის მიმდინარე ნაწილი
თი ბი სი ბანკის სესხი ხელშ. # 4067584-12334519	1 078	348 397	98 712	506 649	33 751
თი ბი სი ბანკის სესხი ხელშ. # 4037584-10199415 ევრო		-	-	-	34 009
თი ბი სი ბანკის სესხი ხელშ. # 4037584-11034842 ლარი	226	9 020	11 988	21 020	10 329
თი ბი სი ბანკის სესხი ხელშ. # 4037584-11223148 დოლარი	633	174 612	48 010	223 568	44 434
	1 936	532 029	158 709.29	751 236	122 523

შპს მაღა ს/კ 404522174
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც
დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

ბანკის სესხები 2024 წელი

სესხი	სესხის ოდენობა	საპროცენტო განაკვეთი	სესხის ნაშთი 01.01.2024 წლისთვის ნომინალში	სესხის ნაშთი 01.01.2024 წლისთვის ექვივალენ ტი ლარში	სესხის აღება	სესხის დაფარვა	საკურო სხვაობა	დარიცხულ იპროცენტი	სესხის ნაშთი 31.12.2024 წლისთვის	სესხის ნაშთი 31.12.2024 წლისთვის ნომინალში	სესხის ნაშთი 31.12.2024 წლისთვის ექვივალენ ტი ლარში	საპროცენტო დავალიანე ბა 31.12.2024 წლისთვის ნომინალში	საპროცენტო დავალიანე ბა 31.12.2024 წლისთვის ექვივალენ ტი ლარში
4067584-12334519	\$ 200 000	8%	\$ 166 249	447 109 ლ		(124 189)	40 686 \$	12 319	363 605 ლ	\$ 129 544	363 605 ლ	\$ 312	877 ლ
4037584-11034842	\$ 200 000	14.75%	21 008 ლ	21 008 ლ		(12 063)		2 160 ლ	8 944 ლ	8 944 ლ	8 944 ლ		106 ლ
4037584-11223148	\$ 150 000	9.43%	\$ 82 778	222 622 ლ		(60 720)	20 332 \$	6 831	182 234 ლ	\$ 64 926	182 234 ლ	\$ 184	518 ლ
4037584-13213431	\$ 300 000	13.00%	-	-	150 000 ლ	(8 994)		18 741 ლ	141 006 ლ	141 006 ლ	141 006 ლ	1 306 ლ	1 306 ლ
	850 000 ლ			690 739 ლ	150 000 ლ	-	61 018 ლ	40 051 ლ	695 790 ლ	344 421 ლ	695 790 ლ	1 908 ლ	2 806 ლ

სესხი	სესხის მიმდინარე ნაწილი ნომინალში	სესხის გრძელვადიანი ნაწილი ნომინალში	სესხის მიმდინარე ნაწილი ექვივალენტი ლარში	სესხის გრძელვადიანი ნაწილი ექვივალენტი ლარში
4067584-12334519	39 788 ლ	89 756.22 ლ	111 678 ლ	251 928 ლ
4037584-11034842			8 944 ლ	
4037584-11223148	19 632 ლ	45 293.59 ლ	55 104 ლ	127 130 ლ
4037584-13213431	15 355 ლ		15 355 ლ	125 652 ლ
			191 080 ლ	504 709 ლ

შემოსავალი	2024	2023
ქვიშის რეალიზაციიდან (ფრაქცია 0,5) მ3	1 651 369	1 124 747
ქვიშის რეალიზაციიდან(ფრაქცია 0,8) მ3	2 439 914	1 606 506
ქვიშის რეალიზაციიდან (ფრაქცია 0,5) ტ.		3 501
გადამუშავების შედეგად მიღებული თანმდევი პროდუქტი-გარეცხილი ქვიშა მ3	1 190	14 983
ბალასტის რეალიზაციიდან	9 792	9 848
ლორდის რეალიზაციიდან მ3	37 272	
სხვა შემოსავალი სატრანსპორტო მომსახურების მიწოდებიდან	633 235	295 524
სხვა საოპერაციო შემოსავალი (საწარმოში გამოყენებული ჯართად გაყიდული ჯავშნის სხპულის რეალიზაციიდან შემოსავალი)		1 537

4 772 773

3 056 647

პროდუქციის თვითღირებულება შედგება პირდაპირი ხარჯებისაგან (მოხმარებული ნედლეული და პირდაპირი ხელფასი), ასევე გადანაწილებული ზედნადები ხარჯებისაგან.

შპს მალა ს/კ 404522174
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც
დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

	2024		2023	
წარმოებული პროდუქციის თვითღირებულება	პირდაპირი ხარჯი	ზედნადები ხარჯი	პირდაპირი ხარჯი	ზედნადები ხარჯი
ქვიშა (ფრაქცია 0,5) თვითღირებულება	913 599	221 690	619 629	179 462
ქვიშა (ფრაქცია 0,8) თვითღირებულება	1 406 223	341 228	1 022 851	296 246
ქვიშა ტონებში (ფრაქცია 0,5)		-	1 984	575
ლორლი (10-20) ფრაქცია	53 274	12 927		
ბალასტი	3 528	856	875	253
ჯამი	2 376 624	576 701	1 645 338	476 536

პირდაპირი ზედნადები ხარჯების გადანაწილება

	2024	2023
მუშა-მოსამსახურეების დაზღვევა და საპენსიო ხარჯი	32 067	11 437
შრომის უსაფრთხოების ხარჯი		
საეკსპლუატაციო ხარჯი	559	6 760
ჯავშნის სხმულის თვითღირებულება		
სატრანსპორტო ხარჯი	66 168	62 088
სხვა საწარმოო ხარჯი	18 139	612
ცვეთის ხარჯი	439 844	381 744
ქონების გადასახადი	19 923	13 895
	576 701	476 536

სხვა საოპერაციო შემოსავლების თვითღირებულება

	2024	2023
სატრანსპორტო მომსახურების ხარჯი	620 412	267 683
რეალიზებული ლორლის თვითღირებულება	620 412	266 363
საწარმოში გამოყენებული ჯართად გაყიდული ჯავშნის სხმულის თვითღირებულება		1 320

ადმინისტრაციული ხარჯები

	2024	2023
ბანკის საკომისიო	3 624	1 512
კომუნიკაციის ხარჯი	513	559
კონვერტაციის ხარჯი	2 675	3 667
ადმინისტრაციული ხელფასი	142 647	129 082
მიმდინარე რემონტის ხარჯი	6 894	
საგადასახადო ხარჯი	13 277	
მოგების გადასახადის ხარჯი	6 502	1 858
სხვა	15 867	1 983
ჯარიმა-საურავი	2 029	3 843
სულ ადმინისტრაციული ხარჯი	194 028	142 503

ფინანსური ხარჯი

საპროცენტო ხარჯი	67 650	80 931
------------------	--------	--------

შპს მაღა ს/კ 404522174
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც
დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

<u>სხვა სრული შემოსავალი და ხარჯები</u>	<u>2024</u>	<u>2023</u>
საკურსო მოგება/ზარალი ფულადი ოპერაციების გადაფასებიდან	(223)	(13 431)
საკურსო მოგება/ზარალი არაფულადი ოპერაციების გადაფასებიდან	(1 551)	(797)
საკურსო მოგება/ზარალი ბანკის სესხების გადაფასებიდან	(24 497)	7 939
ჩამოწერილი ძირითადი საშუალება	-	
აქტივების გაუფასურება-საეჭვო დებიტორის რეზერვი		(12 721)
საქველმოქმედო ხარჯი	(600)	(12 422)
მოგება/ზარალი ძ/საშუალების რეალიზაციიდან	(62)	76
სხვა არასაოპერაციო შემოსულობა/ ხარჯი	17 034	(700)
სულ:	(9 899)	(32 056)

ბალანსშემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომ არ ქონია ისეთ ფაქტს ან მოვლენას ადგილი, რაც უნდა აღნიშნულიყო ბალანსშემდგომ მოვლენებში.